

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

28 იანვარი, ოთხშაბათი, 1987 წ. № 19 (9430) შპსი 3 კბ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

სკკპ ცენტრალური კომიტეტის კლენუმი

27 იანვარს მოსკოვში გაიხსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის კლენუმი. კლენუმის განსახილველად გამოტანილია საპრობლემატიკური „გარდაქმნისა და პარტი-


ის საკადრო კოლიტივის შესახებ“ მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის განხილვამ. მ. ს. გორბაჩოვმა

საქართველოს პროფკავშირების XVIII ყრილობის დასრულები

მუშაკასის

ინტერესებისთვის...

გვესაუბრება თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო პარკის დირექტორი პანტიკო თორდია




საწარმო, რომელსაც ტექნიკური ხელმძღვანელობა, მდიდარი სპორტული ტრადიციები მქონდა, მაგრამ ფიზიკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის ზრუნვა...

მართებით მუშაკასის სრულყოფილი სახეობის სახსრებს, ცხადია, არ ვიშურებთ. ჰარხანას აქვს ფეხბურთის სტადიონი, საკუთარი სპორტული დარბაზები, საცურაო აუზი, ღია მოედნები...

იხ. 33-34

ეს იქნება ყვავილის დაუვიწყარი დღესასწაული

ხვალ თბილისის სპორტის სახახლეში გაიმართება დიდი სპორტული ზეიმი — მყურებლის თვალწინ გაცოცხლდება გახული სპორტული წელი...



სსრ კავშირის ხალხთა IX სპორტაკიადაზე საქართველოს მოცურავეთა ნაკრებში ერთადერთი ქალი, თბილისელი...

ვიღრე ხალიჩაზე მოუხეობდნენ

ქილაობის გულშემატკივრებს ხაინტერესო შეჯიბრება ელით — 30 იანვარს იწყება თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში...

პირველად როდის იახარე-ვით თბილისში? ბ. ოპანენისი: „1978 წელს. მაშინ 18 წლისა ვიყავი. ეს იყო ჩემი პირველი დიდი საერთაშორისო შეჯიბრება...“

საპროზო ადგილს მიღმა არასოდეს დავრჩენილვარ. წელს ისევ ჩემპიონობისთვის უნდა ვიბრძოლო, თორემ ვატყობ ნაკრების მწვრთნელები „აღმაცერად“ მიყურებენ...

იხ. 33-34

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო.



საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ქლასიკურ ჭიდაობაში


ნაკრები სხეს იცვლის

კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მთავარი ამოცანა მიმდინარე სეზონში მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისი და ამ ტურნირში წარმატებით გამოსვლა გახლავთ...


ბიცი იმავე ამოცანას ისახავდნენ მიზნად. ქვეყნის მთავარ გუნდში მონაწილეობა ყველასთვის საბატოა და იგი მნიშვნელოვანწილად მუშაობის დონესა და ხარისხს განსაზღვრავს...

იხ. 33-34

სსრ კავშირის პირადი ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში



დღითიღა ემატება მყურებელი „ბურვესტიციის“ სპორტკომპლექსის ტრიბუნებს. მაგიდის ჩოგბურთის საუკეთესო ოსტატებს, რომლებიც თბილისში ქვეყნის ჩემპიონთა გამოსავლენად შეიკრიბნენ...



მუშაკაცის ინტერესებისთვის...

დასასრული

ამ ბოლო დროს კიდევ ერთი კარგი ტრადიცია დაამყარდა — შრომითი კოლექტივების მეგობრული შეხვედრები. დახვედრების დღეებში თქვენი ქარხნის წარმომადგენლები თბილისის კიროვის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენების“ კოლექტივს ეხიბრებიან სპორტის რამდენიმე სახეობაში.

დაიბ, შესანიშნავი წამოწყებაა. ამ ღონისძიებას შინაარსის გაღრმავების ამოუწურავი შესაძლებლობები აქვს. გადაწყვეტიტე თორი კოლექტივის მეგობრულ თამაშებზე მესამე საწარმოც მოგვეწვია — ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, მერე პროგრამაში კულტმასობრივი ღონისძიებებიც შევიტანეთ, რომელსაც უამრავი მაყურებელი ჰყავდა. ვფიქრობ, მომავალში სწორედ კულტურულ-სპორტული შეხვედრები უნდა მოვაწყოთ ხშირად.

თქვენმა საწარმომ ერთ-ერთმა პირველმა შექმნა რესპუბლიკაში ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა. რაც მთავარია, ამ სკოლამ საბჭოთა სპორტს არაერთი სახელოვანი სპორტსმენი აღუზარდა...


დაიბ, ნინა დრონოვას, პატა ჩიხიკაძის, ნუგზარ ღვინიაშვილის, ლევან სისაურის სახელები ყველასათვის კარგადაა ცნობილი. ტრადიციები გრძელდება. ამჟამად რესპუბლიკის მოზარდთა ნაკრებ გუნდებში ჩვენი სკოლის 32 აღსაზრდელია ჩარიცხული. დღეისათვის ჩვენი გაერთიანების ბაზაზე შექმნილია ფეხბურთისა და მძლეოსნობის ბავშვთა სპორტული სკოლები. ნაყოფიერად მუშაობს ფეხბურთის სკოლა, რომელიც ყოველ-

წლიურად შევსებას აძლევს როგორც ქარხნის, ისე უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდებს.

მომავლის გეგმებზე რას გვეტყვი?

გარდაქმნის კურსის განხორციელება, ცხადია, საწარმოებში გაშლილ ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაშიც მოგვიწევს. დიახ. ბევრი რამ მოძველდა, საქმისადმი ძველებური, უწყებრივი მიდგომა უკვე გარკვეულ სიძნელეებს გვიქმნის წინსვლის გზაზე. სხვათა შორის, ერთი თამამი ნაბიჯი უკვე გადავდგით — საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან დაიწყეთ საქმიანი თანამშრომლობა. გვეყავს ფეხბურთელთა ერთობლივი გუნდი „შეგარდენი-სპი“. რომელიც, როგორც სპორტის გულშემოტიერებმა იციან, საქართველოს 1986 წლის ჩემპიონია, გუნდმა შარშანვე მოიპოვა სუპერთასი. ცნობილია ისიც, რომ ეს გუნდი წელს II ლიგის საკავშირო გათამაშებაში ჩაებმება თბილისის „ლოკომოტივის“ ნაცვლად. ეს დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. „შეგარდენი-სპი“, რომელსაც სპორტის დამსახურებული ოსტატი მურთაზ ხურცილავა უდგას სათავეში, უკვე უმაღლესი ლიგის გუნდებს აძლევს შევსებას. მაგალითად, წელს ლანჩხუთის „გურიში“ ჩვენი გუნდიდან ოთხი მოთამაშე ჩაირიცხა. შარშან თბილისის „დინამოში“ გადაიყვანეს მეშვიდე და ბაკურაძე, ქუთაისის „ტორპედოში“ — ტყავაძე.

დასასრულს გვარდებით? რომ ჩვენი საწარმოს კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისთვის და თავის წვლილს შეიტანს ქართული სპორტის წინსვლის საქმეში.



სახელოვანი ნეკლეპტელის მემკვიდრები



ცნობა არ იყოს, უცნაური შეჯიბრება — ნორჩი წყალბურთელები გამარჯვებისთვის იბრძვიან. მაგრამ უფრო თავიანთი ოსტატობის დემონსტრირებას ცდილობენ. სურთ ტრიბუნებზე თავმოყრილ მშობლებს თავი მოაწონონ, გამოცდილი ვეტერანების გული მოიგონ, დროდადრო თბილისის „დინამოს“ კაპიტნისა და სსრ კავშირის ნაკრების ყოფილი წევრის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ვლადიმერ ისელიძისკენ აპარებენ თვალს. არცაა გასაკვირი, ბავშვები ხომ აწორედ ვლადიმერ ისელიძის სახელობის კლუბის პრიზის მოსაპოვებლად იბრძვიან. მაგრამ ახარტში შესულთ, როცა ბრძოლის ეინი ერევათ, ყველაფერი ავიწყდებათ და... გამარჯვებულთა სიხარულს საზღვარი არა აქვს, წაგებულებმა კი ლამის ცრემლებით აავსონ აუზი.

ვედებთ ნიჭიერ, პერსპექტიულ წყალბურთელებს — გვეუბნება საქართველოს სპორტსახეობის საწყლოსნო სახეობათა განყოფილების უფროსი დავით იაშვილი, — ამაში ეს შეჯიბრება გვეხმარება, რომელშიც 1973 წელსა და უფრო გვიან დაბადებული ბავშვები მონაწილეობენ. სარბიელზე თბილისის „ნორჩი დინამოსისა“ და განათლების სამმართველოს ორთი, რუსთავეისა და ქუთაისის გუნდები გამოდიან. მათთვის ყოველ-

კვირას ვატარებთ შეხვედრებს. პირველი წრე ვახატხოლზე დამთავრდება. მეორე წრის შეხვედრებში კი შემოღობაზე გამოიქვით.

მეფ ამ ბოლო წრის წყევვი, როცა სპორტში წიკადნიერად დავიწყე — ამბობს ისელიძე, — მაშინ არც ასეთი საცურაო აუზი გვექონდა და არც ასეთი ავტორიტეტული მსახთა ბრიგადა გვემსახურებოდა, როგორც ამ შეჯიბრებას, თავად განსაჯეთ. ამ ასპარეზობაზე სამსახრად მოიწვიეს აღიარებული სპეციალისტები, საერთაშორისო კლასის არბიტრები ზურაბ ჩაჩავა, დავით იაშვილი, ბორის მარგევი და სხვები. შეჯიბრებებიც ორგანიზებულად, საზეიმო ვითარებაში ტარდება ამიტომ ბავშვები ხალისით გამოდიან სარბიელზე, გამარჯვებული გუნდის ეინობა წლის ბოლოს გაიკვევია...

მანამდე კი ნორჩი წყალბურთელები თავს არ ზოგავენ და ვლადიმერ ისელიძის პრიზის მოსაპოვებლად იბრძვიან, ოცნებობენ ჩვენი საუკეთესო გუნდის — თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდის კაპიტნობაზე, სურთ მალე მორიგონ № 7 ქული, ის ქული, რომლითაც ვლადიმერ ისელიძე გამოდიოდა.

ავთანდილ ხაჭივილი, ავტორის ფოტოები.

პიდრა ხალიჩაზე მოუხეობდნენ ნაკრები სახეს იცვლის

დასასრული

ავის სპორტული გზა თბილისის საერთაშორისო ტურნირით იწყებოდა. მეც, თუ შეიძლება ითქვას, აქ ავიდგი ფეხი. 1977 წლიდან მხოლოდ ორი ტურნირი გამოვტოვე, ისიც ავადმყოფობის გამო. მესამე წელია მძიმე წონაში ვადავდი, მანამდე სულ ქვემძიმეში გვიდობდი. როცა ლევან თელიაშვილმა, ივან იარიგინმა და ილია მატემ თავი-დანაბნებს ჰილაობას, ჩემი ჭერიც დადგა. ევროპის ჩემპიონატის მედლებზე ნაკლებ როდი მემამყება თბილისის ტურნირის სამი „ოქრო“. დამერწმუნეთ, აქ გამარჯვება გაცილებით ძნელია.

თქვენს უშუალო კონკურენტებზე რას გვეტყვი?

ს. ოპანენიანი: „ჩემს წონაში ახლა მხარბეკ ხადარცევი ლიდერობს. შარშან იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა, მე ევროპის პირველობა მოვიგე. ხადარცევი 21 წლისაა და

მასთან ბრძოლა იოლი არ არის, მაგრამ... თუმცა ენახოთ, ყველაფერი ხალიჩაზე ვადაწყვდება. ტურნირისთვის გულმოდგინედ ვმზადებინ ვახა ევლოვეი და მამუკა რაზმაძე. უცხოელთაგან შემიძლია დავისახელო უნგრელი ტოტი, გერმანელი ვანგერი, ამერიკელი შერი... ვფიქრობ, მედლები ამ მოქიდავება შორის განაწილდება“.

მ. მამოშვილი: „უთუოდ საინტერესო იქნება გობეჯიშვილი — ბაუმგარტენის „დუელი“. ეს ტანდემში ახლა უძლიერესია მსოფლიოში. შარშან ბაუმგარტენმა ყველა დიდი შეჯიბრება მოიგო, მაგრამ არა მგონია, რომ წელსაც იგივე გამეორდეს. სერიოზული შედეგები აქვთ ვიქტორ ზანგიევს, თავის სიტყვას იტყვას მალხაზ მერმანიშვილიც. მე 28 წლისა ვარ, მაგრამ ჭერ ყველაფერი დაკარგული არ არის“.

აგერ უკვე მერამდენე წელია საბჭოთა კავშირის თავისუფალი

სტილის მოქიდავეთა ნაკრებს მსოფლიოში ბადალო არა ჰყავს. ყველა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, როგორც წესი, ჩვენი გუნდის დამაჯერებელი გამარჯვებით მთავრდება. თქვენი აზრით, როდემდე ვაგრძელებთა ახე?

ს. ოპანენიანი: „დიდხანს, ყოველ შემთხვევაში, საუკუნის ბოლომდე მაინც. მერე ენახოთ“.

მ. მამოშვილი: „საბჭოთა კავშირში იმდენი ძლიერი მოქიდავეა, სამი-ოთხი თანაბარი ძალის ნაკრების დაკომპლექტება შეიძლება. ასეთი რეზერვი არც ერთ სხვა გუნდს არა ჰყავს. მართალია, ბოლო დროს ბევრ ქვეყანაში გამოჩნდნენ მძლავრი კლასის ფალავნები, მაგრამ ჩვენი უპირატესობა მაინც აშკარაა. ამას ყველა სპეციალისტი აღიარებს. უცხოეთის ქვეყნებში ჰილაობის ერთი-ორი ცენტრი აქვთ, ჩვენთან კი ასეთი ცენტრები თითქმის ყველა რეგიონშია. ეს არის ჩვენი ძალაც და რეზერვიც“.

ჰილაობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა, რომელიც შარშან ბუდაპეშტში ჩატარდა, თავისუფალი ჰილაობის წესებში მნიშვნელოვანი შესწორებები შეიტანა...

ს. ოპანენიანი: „სხვათა შორის, ბოლო დროს ჰილაობის წესები ხშირად იცვლება. ყველაფერი იქითკენ არის მიმართული, რომ ორთაბრძოლა უფრო საინტერესო და დინამიური გახდეს. ეს ძალიან კარგია, მაგრამ მოქიდავეებსაც უნდა გაეუწიოთ ანგარიში. წესებში შეტანული ყოველ შესწორებას შესაბამისი კორექტივები შეაქვს სპორტსმენის მზადების გეგმაში. ასე ხდება გაუთავებლად. მაგალითად, რაც მე ვვიტობ, წესები ათჯერ მაინც შეიცვალა“.

მ. მამოშვილი: „განახლება ყველაფერს სჭირდება, მათ შორის ჰილაობის წესებსაც. ბოლოდროინდელი ცვლილებები ძირითადად პარტერში ჰილაობას შეეხო. ახლა პარტერში მხოლოდ ერთი „ტრილის“ შესრულება შეიძლება. ჩემი აზრით, სწორი ვადაწყვეტილებაა“.

დასასრული

ნებოთ შარშანდელ ჩემპიონთაგან უმაღლესი ტიტული მხოლოდ ორმა მოქიდავემ დ. ტურლიხანოვმა და კ. მუსაევმა შეინარჩუნეს. ესეც ახალგაზრდობის საბრძოლო სულისკვეთებასა და მონდომებაზე მეტყველებს.

ვადახვროთ პრიზიორთა სიას. განა ნიშანდობლივი არ გახლავთ ის ფაქტი, რომ 56-ე ჩემპიონატის მედლებმა 22 ქალაქის წარმომადგენლებმა გაინაწილეს? კლასიკურ ჰილაობაში კარგა ხანია ხმარებიდან ამოიღეს ტერმინები ცენტრი და პერიფერია. პრიზიორთა შორის სულ უფრო ხშირად ვხვდებით რიონებისა და, ასე გასინჯეთ, სოფლის წარმომადგენლებსაც. ეს სპორტის ამ სახეობის ჭეშმარიტად მასობრივი განვითარების დასტურია.

საპუბლიკის აზრით ჩვენი მთავარი გუნდი უახლოეს მომავალში ერთგვარად ვადახალისდება. ნაკრებიდან სხვადასხვა დანამუდღისათვის უკვე გამოიყვანეს ალახვერდიევი, მაკარენკო, ფედორენკო. სხვებსაც, ვინც ვერ მერეგება ნაკრების რიტმსა და რეჟიმს იგივე ბედი მოელოთ. ასეთ კატეგორიულ ზომებს რომ მიმართავს მწვრთნელი საბჭო დარწმუნებულია ახალგაზრდების უნარსა და შესაძლებლობებში, მათ „ამბიციების“ სამართლიანობაში. ეს კი ცოტა არ არის.

და მართლაც ვახისენეთ თუნდაც ახალგაზრდა თბილისელის თენგიზ თედორაძისა და გამოცდილი ომსკელი მოქიდავის, მსოფლიო თაისის მფლობელ ვლადიმერ პოპოვის ფინალური ორთაბრძოლის დეტალები. ამ შეხვედრაში, როგორც იტყვიან, მხოლოდ და მხოლოდ გამოცდილებამ გაიმარჯვა. გამოცდილება კი, ცხადია, პოპოვს მეტი ჰქონდა და ერთადერთმა ილენამ მას გამარჯვება მოუტანა. მაგრამ ეს ზუსტად ის შემთხვევაა, ოცა გამარჯვებულიცა და დამაოცებელიც ერთნაირ ქებას იმსახურებენ.

ერთი, ჩვენის აზრით, ყურადღალები მომენტე გენადი საპუნოვის განცხადებია... „დარწმუნებული ვარ, რომ ნიჭიერი და შრო-

მისმოყვარე ათლეტები — სერგეი სუვოროვი, ალექსანდრე კარელინი, გურამ გედეხაური, ვიქტორ მალოვი უფრო თამამად „გახსნიან“ თავიანთ შესაძლებლობებს გამოცდილი ოსტატების მიხეილ მამიაშვილის, კომანდარ მაჯიდოვისა და იგორ კანიგინის გვერდით. ვფიქრობ, ქვეყნის მთავარ გუნდში ისეთ საქმიან და შემოქმედებით ატმოსფეროს შექმნით, რომლითაც იგი მუდამ გამოჩნეული იყო“.

ომსკის საკავშირო ჩემპიონატის შედეგებს, სპეციალისტები, ცხადია, უფრო ორმად და დეტალურად ვაანალიზებენ. ასეთ საუბარს დრო და კარგი დაფიქრება სჭირდება. ამიტომ დღეს ჩვენ მხოლოდ პრიზიორთა სამუდებო შემოგთავაზებთ. ერთგვარი დასკვნების გაკეთება აქედანაც შეიძლება.

მისკ

- 48 კბ. 1. ს. სუვოროვი (ომსკი), 2. ო. კუჩერენკო (ვოლგოგრადი), 3. ნ. პარფენოვი (ტიუმენი).
- 52 კბ. 1. ა. რომანიუცი (ნიკოლაევი), 2. ვ. ოსტროუმოვი (მოსკოვი), 3. ა. კალაშნიკოვი (კიევი).
- 57 კბ. 1. ს. ზამბევიტოტა (როსტოვი), 2. ნ. სამსონოვი (ულიანოვსკი), 3. ტ. კალიმულინი (ომსკი).
- 62 კბ. 1. კ. მუსაევი (როსტოვი), 2. კ. მაჯიდოვი (მინსკი), 3. ვ. ვოზნი (ვოროშილოვგრადი).
- 68 კბ. 1. ნ. კოვალენკო (ომსკი), 2. მ. ისკანდერიანი (ლენინაკანი), 3. ა. ბავევი (გროზნო).
- 74 კბ. 1. ო. ტურლიხანოვი (ალმათა), 2. მ. ბატალოვი (უფა), 3. ა. კონრადაცი (კიევი).
- 82 კბ. 1. მ. მამიაშვილი, 2. ვ. მალოვი (ორივე — მოსკოვი), 3. ს. ნასევიჩი (შახტი).
- 90 კბ. 1. ვ. პოპოვი (ომსკი), 2. თ. თედორაძე, 3. ზ. ივანაშვილი (ორივე — თბილისი).
- 100 კბ. 1. ი. კანიგინი (ვიტებსკი), 2. გ. გედეხაური (სართიქალა), 3. რ. ბელკინი (კურგანი).
- 180 კბ. 1. ი. როსტოროვი (ყარაბაღი), 2. ა. კარელიანი (ნოვოსიბირსკი), 3. ნ. მაკარენკო (ბელაია-ცერკოვი).



ესაუბრა ელგუჯა ხალხინოელი.

საქართველოს მოცურავეთა ზამთრის ჩამოინახები

რას მოგვითხან სიმბოლოები ახლა?

(დასასრული)

საკავშირო წყობის წყვერებთან ერთად შეკრებებზე იმყოფება, მეორეს, არმიულეებისას — სპარტაკიანის შემდეგ ასე სათანადო ყურადღებას აღარ აქცევს), მაგრამ საერთო სურათს ეს მაინც ვერ შეცვლიდა, თუნდაც მოცურავეებს საქართველოს რეკორდები დაემყარებინათ.



ელენა გოლუბი.

ვი ცხობიქს კი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდებების მიღება მიულოცეს. გამოცდილმა და ავტორიტეტულმა მწვრთნელმა ენერგიით აღსავსე კოლეგებს თითქოს გზა დაულოცა.

ენახობ, რას მოგვითხან ეს სიმბოლოები ესტაფეტა.

მისი საქარუხლავი

ქალები. თავისუფალი სტალი. 50 მ. ნატო ხაჭაპურიძე („განთიადი“, ქუთაისი) — 29,3, ელენა გოლუბი („კოლმეურნი“, ხობი) — 30,0, ირინა კალიაშვილი („ლინამო“, თბილისი) — 30,8; 100 მ. ქეთინო ზინდრიშვილი („განთიადი“, თბილისი) — 1,02,6, ხაჭაპურიძე — 1,04,6, გოლუბი — 1,06,4; 200 მ. ზინდრიშვილი — 2,17,2, გოლუბი — 2,24,4, ვერა ვასენკო („განთიადი“, თბილისი) — 2,25,3; 400 მ. ზინდრიშვილი — 4,46,3, ვასენკო — 4,55,4, ნინა რეშეტნიკი („განთიადი“, რუსთავი) — 4,55,7, 800 მ. ზინდრიშვილი — 9,57,18, ვასენკო — 10,08,4, რეშეტნიკი — 10,18,2; ესტაფეტა 4X100 მ. თბილისი — 4,31,0, ქუთაისი — 4,33,4, რუსთავი — 4,33,8; 4X200 მ. რუსთავი — 9,50,6, თბილისი — 9,55,8, ქუთაისი — 10,24,5; ბრახი. 100 მ. ანა ელიზბარაშვილი — 1,22,7, ტატიანა ულანოვა (ორივე — „ლინამო“, თბილისი) — 1,24,0; ტატიანა კლაჩკოვა („განთიადი“, ქუთაისი) 1,24,2; 200 მ. ულანოვა — 2,54,3, სვეტლანა კიტკინა („განთიადი“, ქუთაისი) — 3,02,2, ქეთინო ნაზარაშვილი („ლინამო“, თბილისი) —

3,02,4; გულაბა. 100 მ. ლიუბიმოლა რაშჩუკინა („ლინამო“, თბილისი) — 1,09,0, გოლუბი — 1,16,6, ნატალი ტარლოვა („ლინამო“, თბილისი) — 1,12,0; 200 მ. რაშჩუკინა — 2,30,1, რეშეტნიკი — 2,38,7, ლიზა ტუხაშვილი („განთიადი“, რუსთავი) — 2,46,0; ბატერფლაი. 100 მ. ვიქტორია უტიციხი („განთიადი“, რუსთავი) — 1,12,1, ნატო ნაცვლიშვილი („განთიადი“, თბილისი) — 1,13,2, ელიზბარაშვილი — 1,14,4; 200 მ. უტიციხი — 2,39,9, ნაცვლიშვილი — 2,42,3, თამარი ტალახაძე („განთიადი“, თბილისი) — 2,47,0; კომპლექსური ცურვა 200 მ. უტიციხი — 2,33,8, ხაჭაპურიძე — 2,39,2, ნაცვლიშვილი — 2,42,4; 400 მ. უტიციხი — 5,29,0, ნანა მუშევა („განთიადი“, თბილისი) — 5,46,1, ლოლი კეჩაშვილი („ბურვეესტნიკი“, თბილისი) — 5,54,8; კომპინირებული ესტაფეტა. 4X100 მ. თბილისი — 4,51,5, ქუთაისი — 5,03,5, რუსთავი — 5,08,4.

ვაჭები. თავისუფალი სტალი. 50 მ. მიხეილ ზადირაყინი (ასე, თბილისი) — 25,1, ეგვივი კელერი — 26,5, მიხეილ სტასიუნი (ორივე — „ლინამო“, აფხაზეთი) — 26,7; 100 მ. ივანე არტიომოვი — 54,8, როლანდ ახვლედიანი (ორივე — „განთიადი“, თბილისი) — 55,8, მიხეილ ზადირაყინი — 56,6; 200 მ. ზაზა ზურაბაშვილი („ლინამო“, თბილისი) — 2,03,7, ვადიკ სტეპანოვი („ბურვეესტნიკი“, თბილისი) — 2,04,4, გიორგი მანაშკროვი („ლინამო“, თბილისი) — 2,40,8; 400 მ. ზურაბაშვილი — 4,26,8, დავით ნაცვლიშვილი — 4,31,6, ალექსანდრე კრიტიანოვი (ორივე — „განთიადი“, თბილისი) — 4,34,4; 1500 მ. ლაშა სიბინავა („კოლმეურნი“, ხობი) — 21,10,0, პავლე კედერი („ლინამო“, აფხაზეთი) — 21,00,0; ესტაფეტა 4X100 მ. თბილისი — 3,53,7, აფხაზეთი —

4,02,3, რუსთავი — 4,11,6; 4X200 მ. თბილისი — 8,47,6, აფხაზეთი — 9,15,2, რუსთავი — 9,27,0; ბრახი. 100 მ. რამბერტ გუქასოვი („განთიადი“, თბილისი) — 1,10,0, გიორგი აბიანიძე (განთიადის სამმართველო, თბილისი) — 1,12,9, რევაზ ელიზბარაშვილი („ლინამო“, თბილისი) — 1,12,9, 200 მ. აბიანიძე — 2,32,1, გუქასოვი — 2,37,4, მიკის სპირანდი („ლინამო“, თბილისი) — 2,39,0; ბატერფლაი. 100 მ. ანდრე შუჟკინი („ბურვეესტნიკი“, თბილისი) — 1,03,2, ვანო ტაბუთაშვილი („განთიადი“, თბილისი) — 1,03,6, ოლეგ ოსკოლოვი („ლინამო“, აფხაზეთი) — 1,04,2; 200 მ. არამ დავითანი („ლინამო“, თბილისი) — 1,11,4, კახა პეტრიაშვილი („შრომითი რეზერვები“, თბილისი) — 2,19,7, შუჟკინი — 2,20,1; გულაბა. 100 მ. ოლეგ ოსკოლოვი („ლინამო“, აფხაზეთი) — 1,02,2, თემურ გვლიგავილი („შრომითი რეზერვები“, თბილისი) — 1,06,2, თემურ გუგუბერიძე („ლინამო“, აფხაზეთი) — 1,06,4; 200 მ. ოსკოლოვი — 2,18,9, გუგუბერიძე — 2,20,7, გვილიგავილი — 2,22,2; კომპლექსური ცურვა. 200 მ. ვალდ სტეპანოვი („ბურვეესტნიკი“, თბილისი) — 2,18,3, რეზო ელიზბარაშვილი — 2,21,7, ალექსანდრე მკრტიანი (ორივე — „ლინამო“, თბილისი) — 2,30,0; 400 მ. სტეპანოვი — 4,55,6, გვლიგავილი — 5,21,6, ელიზბარაშვილი („განთიადი“, რუსთავი) — 5,41,9; კომპინირებული ესტაფეტა. 4X100 მ. თბილისი — 4,14,2, აფხაზეთი — 4,34,4, რუსთავი — 4,46,4.

გუნდური. I ჯგუფი: თბილისი — 2177 ქულა, რუსთავი — 828, აფხაზეთი — 738, ქუთაისი — 587, აჭარა — 387; II ჯგუფი: ხობი — 468, ქიათურა — 228, ტყებული — 66.

ხელახალი — მართლაც

ჩემი ნაზარი

ბარლენი. გდრ-ისა და საბჭოთა მძღოლსების შეხვედრაში რამდენიმე მაღალი კლასის შედეგი აღინიშნა. მოსკოველმა გალია ჩისტიაკოვამ სიგრძეზე სტომაში 7 მ. 9 სმ დასძლია და მსოფლიოში სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა (დახურულ დარბაზებში). ლენინგრადელი ვალერი სერედა 230 სმ სიმაღლეზე გადახტა. მინსკელმა გენადი ვალუჟევიჩმა სამბტომში 17 მ. და 5 სმ. დასძლია. მსოფლიოში სეზონის საუკეთესო შედეგი ჰქონდა ულფ ტიმერმანსაც (გდრ). მანბროვი 21 მ. და 33 სმ-ზე ჰკრა. მარლოზ გიორმა 50 მ. 6,13-ში გაიბინა.

ლონდონი. ინგლისის მძღოლსანთა ზამთრის ჩემპიონატიდან ორი შედეგის გამოყოფა შეიძლება: 200 მ. რენა. ლინფორდ კრისტო — 21,23, თარჯბენი 60 მ. ჯონ რიქონი — 7,66. პორტლანდი. ამ ქალაქის დახურულ სტადიონზე ერო ბელმა (აშშ) კოიტი სტომაში 586 სმ დასძლია (სეზონის მეორე შედეგი მსოფლიოში). 55 მ. თარჯბენი რენიანლო ნეჰემამ 6,9 წამი აჩვენა.

სან-სებასტიანი. საერთაშორისო მძღოლსური კროსი იბორლომზე კენიელმა სტაიერმა პოლ კიჰეიმამ მოიგო. 10-კილომეტრიანი დისტანცია მან 30,35-ში გაიბინა. 15 წამით უკეთ, ვიდრე მეორე ადგილზე გასულმა პოლ არვენმა (საფრანგეთი).

სტრასბურგი. საფრანგეთის ამ ქალაქში აგვისტოში მოცურავეთა მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდება. სწორედ ამიტომ აქ უცხოეთის სპორტსმენები ინტენსიურად ვარჯიშობენ. გაიმართა დიდი საერთაშორისო ტურნირი სტრასბურგის „ქროსის თსზე“. ქალთა გუნდებს შორის ყველას რუმინელებმა აჯობეს. წყალში მტკობელთა შეჯიბრებაში პირველი ადგილი ჩინეთის სპორტსმენებს ხვდათ.

ჩემი ნაზარი უხველად დარჩა. აპსტალიის ქალაქ პეტრში დაუჯერებელი ამბავი მოხდა. ყოფილ შემთხვევაში სტადიონზე შეკრებილი მსაყურელები, მსაჯები და თავი დასაბრტყნებული გულმურფელთა გოგონებულნი იყვნენ. მძღოლსური პროგრამის ერთ-ერთი სახეობის — გაყთა 100 მეტრზე ფინალური გარბენის შემდეგ სადემონსტრაციო დღემ ფანტასტიკური შედეგი — 9,7 აჩვენა.

იმ წუთში ყველაზე ბედნიერი ადამიანი ალბათ კანადელი სპირტი ბენ ჯონსონი იყო. 100 მეტრზე რბენაში 9,7 წამი! მსოფლიო მძღოლსონობის ისტორიაში ეს სპირტიერიული დისტანცია ასე სწრაფად არავის გაურბენია. მაგრამ შედეგს რეკორდულ დამტკიცება ორი მიზეზის გამო არ ეწერა. ჯერ ერთი, მსაჯებმა დრო ხელის წამშობით დააფიქსირეს, რაც საერთაშორისო წესების თანხმად დაუშვებელია. და მეორეც, ქარის სისწრაფე ამ საერკორდო გარბენის დროს წამში 3,5 მეტრი აღწევდა. მძღოლსონობის წესებში კი ნათქვამია, რომ მსოფლიო რეკორდების რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონული წამშობებით და ისიც მაშინ, თუ ქარის სისწრაფე წამში 2 მეტრს არ აღემატება.

აღნიშნულ შეჯიბრებაში ქალთა სპირტი მეორე კანადელმა მძღოლსანმა ანჯელა ისაენკომ მოიგო — 10,8, ავსტრალიელმა დარენ კლარკმა კი 400 მეტრი 45,29-ში გაიბინა.

პროფესიული კრივის საყაროში

ერთი კაშკაშა პარსკვლაკი

ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში პროფესიულ რინგზე მონახებულა ფენომენალური კუმბელი მორივე, მსოფლიოს ჩემპიონი მჩატე წონაში კიდ-შოკოლადო. ეს სახელი მას მუქი ყავისფერი კანის გამო შეარქვეს.

უწევდა ბრძოლა ოთხნაციანი ხელოვნებით. კიდი დამპყრებლად მიიწვედა კრივის მწვერვალისაკენ. სპეციალისტები ამბობდნენ, ამ მორივეს უთუოდ ღმერთმა დაანათლა რინგზე მიმობრის ნიჭით. იგი მართლაც არასოდეს აგებდა ბრძოლას ძლიერ დარტყმამდე, საზრიანად მოძრაობდა, ოსტატურად ყვინთავდა, მეტოქეს რინგის კუთხეში იმწვედევდა და შემდეგ ელვისებრი დარტყმებით უღებდა ბოლოს. ამ დარტყმებს გროგოლს ადარებდნენ. „მოკრივედ მხოლოდ ის მიიქვამს, ვინც თავად ურტყამს და სხვას არ ანებებს ასევე ვისარჯოს“ — ამ, რა ეწერა მის საბრძოლო დრო შიზე.

კრივეთა საზოგადოებაში, არამედ ინტელიგენტურ წრეებშიც მას უხლოვდებიან ლუი არმსტრონგი, დიუკ ელინგტონი და ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა იმდროინდელი ცნობილი წარმომადგენლები. პოეტი და კომპოზიტორი კარლოს გარდელი მას უძღვნის სიმღერას „შემოდგომის ვარდები“. კიდი იხვეჭს სახელსა და სიმდიდრეს, მაგრამ სწორედ აქედან იწყება მისი თავიწე დაშვების ეპიკი. ნათქვამია, მწვერვალზე ასვლა ასე თუ ისე შესაძლებელია, უფრო ძნელი ზედ დადგრომაია. კიდ აფორიზმი ზედგამოჭრილია კიდ-შოკოლადოზე, რომელმაც დიდხანს ვერ გაძლო მსოფლიო ჩემპიონის ტახტზე. ბუნებრივი მონაცემებითა და წარმატებებით ვათამამებელი კიდი ზმირი სტუმარი გახლდათ ბროდვეის დამის ბარებში. მას დღენიდაც გარს ერტყა შამპანურის ბოთლები და ლამაზმანთა მივლი არმია, ეწვიდა ძვირფას სიგარებს, წამდალუწუმი იცვლიდა ტანსაცმის თავის უმდიდ-



რედ აქედან იწყება მისი თავიწე დაშვების ეპიკი. ნათქვამია, მწვერვალზე ასვლა ასე თუ ისე შესაძლებელია, უფრო ძნელი ზედ დადგრომაია. კიდ აფორიზმი ზედგამოჭრილია კიდ-შოკოლადოზე, რომელმაც დიდხანს ვერ გაძლო მსოფლიო ჩემპიონის ტახტზე. ბუნებრივი მონაცემებითა და წარმატებებით ვათამამებელი კიდი ზმირი სტუმარი გახლდათ ბროდვეის დამის ბარებში. მას დღენიდაც გარს ერტყა შამპანურის ბოთლები და ლამაზმანთა მივლი არმია, ეწვიდა ძვირფას სიგარებს, წამდალუწუმი იცვლიდა ტანსაცმის თავის უმდიდ-

რესი გარდებობიდან. სპორტული ჟურნალისტის რიკარდო ავასინოს თქმით, იგი ნებიერ აფრიკელ პრინცს უფრო ჰგავდა, ვიდრე პროფესიონალ მოკრივეს. ოლონდ კიდის სისახელოდ უნდა ითქვას, რომ თავისი კარიერის ზენიტს მიღწეული ჩემპიონი არ იფიქრებდა გაჭირვებაში ჩაგარდნილ მოკრივეებს და დახმარების ხელს უწყობდა მათ. მაგალითად, ის დიდხანს ინახავდა რინგის ხელოვნურულ გოლიათობრებს ლუის ვალავარს, როლანდო დელვალდოს და ბევრ სხვას.

1933 წელს იგი მადრიდსა, ბარსელონასა და პარიზში მიემგზავრება, მაგრამ ამჯერად გამარჯვებუბთან ერთად წაგებაც ბევრია, რადგან კიდი ვერა და ვერ თობის პარიზის კაფეებს, სადაც მოულლელად ცეკავს თავის საყვარელ ტანვოს. იმავე წელს მან ორჯერ იწვინა ნოკაუტი, ერთი — ტონი კანკონერის, მეორე კი ფრენკი კლინკისაგან, ვისაც დაუთმო კიდვეც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

1937 წელს იგი ერთხელ კიდევ გამოდის რინგზე, ამჯერად თავის მშობლიურ ჰავანაში, მაგრამ წარუმატებლად. კიდმა დაკარგა სისწრაფე და მოქნილობა. ფილ ბეიკერის, იანგ ჩაპის, ჯონი მირაბულის თუ სხვათა ძალუმმა მუშტებმა არაერთხელ შეარყიეს მისი სხეული და არაერთი დიდი დატყვევს მის სახეს. „ღრთა გონს მოგვო და შეეღო ტყავის ხელთათმანებს, თუ არა გასურს საპყრად იქვე“ — ურჩია მას მენეჯერმა; და კიდ-შოკოლადომ, ვისაც ძალუმდა კარგა ხანს შერჩინოდა მსოფლიო ჩემპიონის ტახტზე, ასე უმოწყალოდ რომ არ ევლანავა თავისი წაანონი, ძალზე ახალგაზრდამ, 28 წლისამ, სამულადო დატოვა რინგი.

სე უმდიდოდ ჩაქრა აგრე მსწრაფლად ამობრწყინებული რინგის ძალზე კაშკაშა ვარსკვლავი.

ვიღებარ ვიორგამამ. სურათი: კიდ-შოკოლადო (მარჯვენა) და მსოფლიოს ახსოლუტური ჩემპიონი ჭკე დემბისი.

ჩე დაქტორი თ. პაჩინილიამ.